**უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო**

04/10/2024

MES 9 24 0001299764

გადაწყვეტილება

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1^1 პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, 32^7 მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუ ხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-5 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ქუთაისის უნივერსიტეტს (ს/კ: 212677094) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 1200-ით, მათ შორის - დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე (ქ. ქუთაისი) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 350 სტუდენტით.
2. შპს ქუთაისის უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი).
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 20 სექტემბერს.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 4 ოქტომბრის №1269892 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის შესახებ ცნობილი იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ

მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
თავმჯდომარის მოადგილე
ორჯონიკიძე ზურაბ

დანართი 1. დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამა	საფეხური	სწავლების ენა	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული, აკრედიტებული, პირობით აკრედიტებული, საერთაშორისო აკრედიტაცია)	შესაბამისი გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი
1.	ბიზნესის ადმინისტრირება	ბაკალავრიატი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	240	აკრედიტებული	№679092, 10.08.2020
2.	ტურიზმი	ბაკალავრიატი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება	240	აკრედიტებული	№848605, 23.06.2023
3.	ეკონომიკა	ბაკალავრიატი	ქართული	ეკონომიკის ბაკალავრი	0311 ეკონომიკა	240	აკრედიტებული	№11012, 21/12/2021
4.	სამართალი	ბაკალავრიატი	ქართული	სამართლის ბაკალავრი	0421 სამართალი	240	აკრედიტებული	№762196, 21.06.2022
5.	ფინანსები	მაგისტრატურა	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში	0204 ფინანსები	120	ავტორიზებული	№136/71, 24/09/2018
6.	აღრიცხვა და აუდიტი	მაგისტრატურა	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი აღრიცხვა და დაბეგვრაში	0411 აღრიცხვა და დაბეგვრა	120	აკრედიტებული	№1095833, 02.09.2022
7.	ეკონომიკა	დოქტორანტურა	ქართული	ეკონომიკის დოქტორი	0311 ეკონომიკა	60	აკრედიტებული	№11013, 21.12.2021
8.	დიპლომირებული მედიკოსი (ქ. ქუთაისი)	ერთსაფეხურიანი სამედიცინო	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი	0912 მედიცინა	360	აკრედიტებული	№476568, 16.04.2022
9.	დიპლომირებული მედიკოსი (ქ. თბილისი)	ერთსაფეხურიანი სამედიცინო	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი	0912 მედიცინა	360	ახალი, მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება	